



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი
ბრძანება

თბილისი



MES 4 21 0000376947



20/04/2021

„2021-2022 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 02 მარტის N186368 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის (N335-IVმს-Xმპ; 16/03/2021) მე-2 მუხლის პირველი-მე-3 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილის 2021 წლის 16 აპრილის N364505 და 19 აპრილის N373594 სამსახურებრივი ბარათებისა და 19 აპრილის N373287 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „2021-2022 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი

დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2021 წლის 02 მარტის N186368 ბრძანებაში და ბრძანების:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2021-2022 სასწავლო წელს საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ჩასარიცხად აუცილებელი დოკუმენტების წარდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ“;

ბ) პირველი-მე-3 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და დოკუმენტების წარდგენის ვადები (I ეტაპი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის განისაზღვროს შემდეგი წესით:

ა) ელექტრონული რეგისტრაციისათვის - 2021 წლის 15 მარტიდან 2021 წლის 26 მარტის ჩათვლით პერიოდი;

ბ) დოკუმენტების წარდგენისათვის - 2021 წლის 29 მარტიდან 2021 წლის 5 ივნისის ჩათვლით პერიოდი.

2. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე რეგისტრაციის და დოკუმენტების წარდგენის ვადად (II ეტაპი) 2021 წლის 20 აპრილიდან 2021 წლის 29 აპრილის ჩათვლით პერიოდი განისაზღვროს იმ კატეგორიის მოსწავლეებისთვის, რომელთა:

ა) და-მმაც სწავლობს ამ სკოლაში;

ბ) მშობელი/მეურვე/მზრუნველი ამ საჯარო სკოლის თანამშრომელია;

გ) ოჯახიდან ერთდროულად ორი ან მეტი ბავშვი შედის პირველ კლასში.

3. საჯარო სკოლის პირველ კლასში მოსწავლის ჩასარიცხად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ოფიციალურ ვებგვერდზე საყოველთაო რეგისტრაციის (III ეტაპი) ვადად იმ მოსწავლეებისათვის, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ პირთა წრეს, განისაზღვროს 2021 წლის 13 მაისიდან 2021 წლის 5 ივნისის ჩათვლით პერიოდი.“;


გ) მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრი მიხეილ ჩხენკელი

A handwritten signature in blue ink, which appears to be 'M. Chikhenkeli', written in a cursive style. The signature is underlined with a single horizontal stroke.